

მდინარე თემამის ხეობის ზედაცარცულ ვულკანიზმთან დაკავშირებული აქატ-
ქალცედონის მინერალიზაცია

ნინო კობახიძე

Email: ninokobakhidze988@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ქ. #13, თბილისი, საქართველო

საკვლევო რეგიონი თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 80 კმ-ში
მდებარეობს და ადმინისტრაციულად კასპის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება.

ე. გამყრელიძის მიერ საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების უახლესი
სქემის (2000წ) მიხედვით, რაიონი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ცენტრალური
(დერძული) ქვეზონის აღმოსავლეთ ნაწილში და აგებულია ცარცული და მესამეული ასაკის
ნალექებით. ქვედა ცარცი წარმოდგენილია მხოლოდ ალბური სართულით, რომლის აგებულე-
ბაში მონაწილეობს: ტუფობრექიები, ტუფოკონგლომერატები, ტუფოქვიშაქვები და მასთან
მორიგეობაში მყოფი ავგიტიანი და ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტები.

ზედა ცარცი წარმოდგენილია ვულკანოგენური და კარბონატული ფაციესით.
ვულკანოგენური წყებების აგებულებაში მონაწილეობს: ბაზალტური და დაციტური
შედგენილობის ტუფები, ტუფობრექიები და მათთან მორიგეობაში მყოფი ლავური განფენები,
რომელთა საერთო სიმძლავრე რამდენიმე ასეული მეტრიდან 2000 მეტრამდე ცვალებადობს.

საველე დაკვირვების საფუძველზე ირკვევა, რომ საკვლევ რაიონში აქატისა და ქალცედონის
მინერალიზაციის პროცესი ორი მთავარი ფაქტორით კონტროლირდება:

1 ტექტონიკური - აქატის და ქალცედონის მინერალიზაცია დაკავშირებულია წყვეტით
დისლოკაციებთან.

2 ლითოლოგიური - აქატისა და ქალცედონის საბადო ლოკალიზებულია ქანებში
(ტუფობრექიები, ტუფოქვიშაქვები, ლავური განფენები და ქანებში არსებული ბრექირებული
ზონები). რომელთა ფიზიკური თვისებები და ტექსტურული თავისებურებანი ხელსაყრელია ამ
სასარგებლო წიაღისეულის ფორმირებისათვის.

შრომაში განხილულია აქატ-ქალცედონისა და მისი თანმხლები მინერალების წარმოშობის
საკითხი და ცარცული ეფუზივების როლი საბადოს ფორმირებაში.